ხაშურის მოამბე

№22 (203) 3 ივნისი, ორშაბათი, 2019 წელი

პროექტი ,,დაგვანახე შენი სოფელი“ დასრულდა

პროექტი „დაგვანახე შენი სოფელი“ დასრულდა და დაჯილდოების ღონისძიება ხაშურში, სწორედ იმ ადგილას მოეწყო, სადაც ტაო-კლარჯეთში მდებარე ტაძრის ანალოგის - ახალი ბანას მშენებლობა მიმდინარეობს. გამარჯვებული ვიდეოს ავტორები ოთხივე მუნიციპალიტეტიდან გამოვლინდნენ, რომელთაც ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ასეთი საჩუქრით ჩვენი მუნიციპალიტეტიდან გამარჯვებული ვიდეორგოლის ავტორი ნიკა კახეთელიძე დაჯილდოვდა. ასევე დაჯილდოვდნენ II – III ადგილებზე გასული ვიდეორგოლების ავტორები: არჩილ კაპანაძე და სერაფიმ მეტრეველი. საბოლოოდ კი თითოეული ვიდეოს მიხედვით საიმიჯო ვიდეო რგოლი მომზადდება.

დაჯილდოების ღონისძიებას შიდა ქართლის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების მერები, მერების მოადგილეები, სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე სვიმეონი, მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურის ხელმძღვანელები, პროექტის იდეის ავტორი და პროექტის მონაწილეები მშობლებთან ერთად ესწრებოდნენ.

„მიხარია, რომ პროექტი შედგა, მითუმეტეს, ასეთი წარმატებით, როგორც ვიცი, კონკურსს თითქმის ყველა ასაკის მონაწილე ჰყავდა. შიდა ქართლში ბევრი საინტერესო და მრავალფეროვანი ადგილი გვაქვს, რასაც ნამდვილად სჭირდება წარმოჩენა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა თავისი ისტორიითა თუ ტრადიციებით.“,- აღნიშნა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

ზაფხულის ბოლოს, სოფელი ვაყა მოასფალტებულ გზას მიიღებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყაში გზის მოასფალტების სამუშაოები გრძელდება.

პროექტის მიმდინარეობას ადგილზე აკვირდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხორციელდება.

მოასფალტებული 2 400 გრძივი მეტრი გზით ,1 500 ზე მეტი მოსახლე ისარგებლებს, რაც მათ

საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

პროექტი ჯამში 1 409 614 ლარს ითვლის და ზაფხულის ბოლოსთვის დასრულდება.



სოფლები – ხცისი და ჯრისხევი ერთმანეთს მოასფალტებული გზით დაუკავშირდებიან

დასასრულს უახლოვდება ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხევამდე გზის მოასფალტების პროექტი.

მიმდინარე სამუშაოებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ადგილზე აკვირდებოდნენ.

პროექტი 2150 გრძივი მეტრი მონაკვეთის მოწყობას ითვალისწინებს და

მისი ჯამური ღირებულება 827 606 ლარს შეადგენს.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ხაშურში, ვეფხვაძეების უბანში, მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

„მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტში მინი-სტადიონების მშენებლობა -რეაბილიტაცია ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამჯერადაც, ვეფხვაძეების უბანში მინი სტადიონი შენდება. სამუშაოები 59 221 ლარით ფინანსდება. პროექტის განხორციელების შემდეგ, მუნიციპალიტეტში, სპორტული ცხოვრებისთვის, კიდევ უფრო მეტი სივრცე შეიქმნება.“-აღნიშნა ადგილზე სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, მუნიციპალიტეტი სპორტულ ცხოვრებას განსაკუთრებულ პოპულარიზაციას უწევს და ტენდენცია კვლავაც აქტიურად გაგრძელდება.

ხაშურში, პუშკინის ქუჩაზე, მინი სტადიონისა და სკვერის მშენებლობის სამუშაოები დაიწყო

„ამჟამად მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი პროექტი მიმდინარეობს და ვცდილობთ, მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად გავითვალისწინოთ. ე.წ. შინდარა მჭიდროდაა დასახლებული და დასასვენებელი სივრცის არსებობა, მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია, მინისტადიონის მოწყობა კი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს“ -აღნიშნა ადგილზე სამუშაოების დათვალიერებისას მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

მერთან ერთად სკვერისა და მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებს აკვირდებოდნენ მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, პროექტს ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ჯამში 65 784 ლარს ითვლის.

- სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კონფერენცია -

ხაშურელ პედაგოგთა დიდი გამარჯვება

25 მაისს, თბილისში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კონფერენცია გაიმართა. აღნიშნული კონფერენცია 2012 წლიდან, წელიწადში ერთხელ იმართება. ღონისძიება წელს განსაკუთრებით მასშტაბური გახლდათ, მასში მონაწილეობა 300-მა პედაგოგმა მიიღო, გამოვლინდნენ სამოქალაქო განათლების საუკეთესო მასწავლებლები სხვადასხვა ნომინაციებში, ჯილდო სულ 35 მასწავლებელს ერგო, მათ შორის იყო 2018 წლის საუკეთესო მასწავლებლის, წლის წარმატებული პედაგოგის და სასკოლო-სამოქალაქო კლუბების საუკეთესო მეურვის ნომინაციები. წელს, სამივე ნომინაციაში, შიდა ქართლის რეგიონის მასშტაბით, ხაშურის სამი მასწავლებელი გახდა ჯილდოს მფლობელი, რაც, დამეთანხმებით, ძალიან დიდი წარმატებაა, როგორც მათთვის, ისე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.

„გახდი უკეთესი“, „მე ვარ ქართველი და მაშასადამე ევროპელი“, „მწვანე ყუთი“, „ოკუპაციის მუზეუმთან განხორციელებული პროექტი“-ეს მცირე ჩამონათვალია იმ აქტივობების, რომლებმაც ხაშურის მუნიციპალიტეტის #1 საჯარო სკოლის დირექტორს და სამოქალაქო განათლების პედაგოგ მორის დანდურიშვილს, წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგის ჯილდო მოუტანა. თუ რა მნიშვნელობის არის აღნიშნული კონფერენცია და რას ნიშნავს მისთვის ეს გამარჯვება, თავად მორისი ისაუბრებს:

- ბატონო მორის,ამ ფორუმში თქვენს მონაწილეობაზე გვესაუბრეთ...

–არსებობს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, რომელიც უკვე რვა წელია აჯილდოვებს სამოქალაქო განათლების პედაგოგებს სხვადასხვა ნომინაციებში, არის წლის საუკეთესო, წლის წარმატებული და წლის სამოქალაქო განათლების კლუბის მეურვე. მასწავლებელს თვითონ შეუძლია განაცხადის წარდგენა. წარადგენ სამოქალაქო განათლების საქმის სწავლებაში თუ რა ინოვაციები გამოიყენე, რა აქტივობები განახორციელე საგაკვეთილო საქმიანობის გარეშე. გარდა ამისა, არის სამი დამხმარე სახელმძღვანელო, ერთ-ერთი გახლავთ თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან,

რომელიც მე გამოვიყენე, ვითანამშრომლეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და ჩავატარეთ იმიტირებული საკრებულოს სხდომა, რომელიც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

- ძალიან სასიხარულო და საამაყოა ის ფაქტი, რომ წელს, შიდა ქართლის მასშტაბით, სამივე ნომინაციაში გამარჯვება ჩვენი მუნიციპალიტეტის მასწავლებლებს ერგოთ...

–დიახ, ნამდვილად, ჩემს გარდა, დანარჩენ ორ ნომინაციაში, ქინძათის სკოლის პედაგოგი **ფატმან ღამბაშიძე** და ოსიაურის სკოლი პედაგოგი **ნათია ბუხრიკიძე** გახდნენ ჯილდოს მფლობელები.

- რა მნიშვნელობისაა ეს ჯილდო?

–ეს ჯილდო არის საუკეთესო წლის მსაწავლებელი 2018, რადგან ამ წელს განხორციელებული აქტივობები წარვადგინეთ. ჩვენი გამარჯვება ის იყო, რომ ამ პროექტის გამარჯვებულები ძირითადად არიან პროგრამა “მომავლის თაობის” ბენეფიციარები, ის სკოლები, სადაც ეს პროგრამა წლებია ხორციელდება. ჩვენთან ეს პროგრამა 2015 წელს იყო და შემდეგ დასრულდა. ეს უფრო

მოეწონათ ორგანიზატორებს , რომ უკვე განხორცელებული და დასრულებული პროგრამა გავაცოცხლე, მინდოდა, რომ ეს ბავშვებისთვის მიმეტანა. რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას ამ ფორუმში, მსგავს აქტივობებს წინა წლებშიც ვაკეთებდი, მაგრამ არ ვიყავი ფორუმის აქტიური წევრი. ქალბატონ დალი ბროლიძის წვლილი ძალიან დიდია ჩემს წარმატებაში, მისი დაჟინებული თხოვნით, გავაკეთე განაცხადი. ეს პროექტი მთელ საქართველოს მოიცავს, დაახლოებით 1100 წევრია სამოქალაქო პედაგოგთა ფორუმის წევრი, ღონისძიებას ის 300 მასწავლებელი ესწრებოდა, რომლებმაც რეგისტრაციის გავლა მოასწრეს.

- უიურის წევრები რამდენად კომპეტენტურები არიან? მათი ვინაობა თუა ცნობილი წინასწარ?

–უიურის წევრები არიან სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის აღმასრულებელი დირექტორი ქალბატონი მაკა ბიბილეიშვილი, პროგრამა “მომავლის თაობის” დირექტორი მარინა უშვერიძე, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ჭიაბრიშვილი, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, მასწავლებელთა სახლის დირექტორი ბერიკა შუკაკიძე. როცა კონკურსში ჩავერთე, მათი ვინაობა ჩემთვის ცნობილი არ იყო,.

ნათია ბუხრიკიძე

- რა ეტაპებს გადის მონაწილე?

–პირველი ეტაპი არის საბუთების გადარჩევა, შემდეგი ეტაპზე აკეთებ მოკლე საინფორმაციო ტიპის ბანერს, სადაც წარადგენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც წლის განმავლობაში განახორციელე და პარალელურად, მიმდინარეობს გაკვეთილზე დაკვირვება. ეს არის გასაუბრება მოსწავლეებთან მასწავლებლის გარეშე და შემდეგ უკვე მასწავლებელთან ერთად. რაც ყველაზე მთვარია, ჩემს გაკვეთილს ესწრებოდა შიდა ქართლის წარმომადგენელი, ქალბატონი ლელა წურწუმია, რომელიც ასევე ახალი სკოლის მოდელის ექსპერტიც გახლავთ, რაც ძალიან საპასუხისმგებლო იყო ჩემთვის. ქალბატონი ლელას სტუმრობა ერთგვარი ნიშანი იყო იმის, რომ შეიძლებოდა წარმატება მოსულიყო.

- თქვენი მოსწავლეები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?

–როცა ჩემს მოსწავლეებს ვუთხარი, სადაც ვიღებდი მონაწილეობას, ძალიან შემიწყეს ხელი, ბავშვებში მოტივაცია ძალიან გაიზარდა, ისინი ზრუნავდნენ, რომ ეს პროცესი არამარტო მათთვის ყოფილიყო სასარგებლო, არამედ ჩემთვისაც, მაქსიმალურად დაიხარჯნენ გარე დაკვირვების გაკვეთილზე.

- დაჯილდოვებაზე გვესაუბრეთ. როგორც ვიცი, დიდი ინტერესი გამოიწვიეთ...

–თბილისში რომ ჩავედით და გადავხედე დარბაზს, სადაც 300 მოლოდინადქცეული მასწავლებელი იყო, ვიფიქრე, რომ შანსები ძალიან შემცირდა, თუმცა რეალობა სხვა აღმოჩნდა. სანამ დარბაზში შევიდოდით, მოვიდა “მომავლის თაობის” დირექტორი, რომელმაც მითხრა, რომ იუსაიდის დემოკრატიის, მმართველობის და სოციალური განვითარების ოფისის

ფატმან ღამბაშიძე-გვარამაძე

დირექტორს ადამ შმიდტს და მინისტრის მოადგილეს მარინა აბულაძეს ჩემი ბანერის ნახვა სურდათ, ვისაუბრეთ განხორციელებულ პროექტებზე. როდესაც გაიგეს, რომ სკოლის დირექტორი ვიყავი, ძალიან მოეწონათ და აღნიშნეს, რომ სწორედ დირექტორი უნდა იყოს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, რათა ყველა აქტივობის განხორციელება შეძლოს. სამოქალაქო განათლების ფორუმის დირექტორმა დამაჯილდოვა, რაც ძალიან სასიხარულო იყო ჩემთვის.

- რას ნიშნავს, თქვენთვის, იყოთ შიდა ქართლის რეგიონში სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო მასწავლებელი?

–ამაზე დიდი ჯილდო ამ სფეროში არ არსებობს, არის წლის ქართულის მასწავლებელი, წლის უცხო ენის მასწავლებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდო. მაგრამ სამოქალაქო განათლება ეს არ არის საგანი, ესაა ცხოვრების წესი, რაც ზრდის მოსწავლეებს ქვეყნის სრულფასოვან წევრებად. ეს არის ჩემთვის დამატებითი მოტივატორი, იმისთვის, რომ ვიაქტიურო უფრო მეტად, გავაკეთო უფრო მეტი ჩემი მოსწავლეებსთვის, იმიტომ, რომ, ამ ბავშვებმა არ თქვან, რომ ჩემი მიზანი მხოლოდ ჯილდო იყო და არა იმ ღირებულებების დამკვიდრება, რაც არის სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად ძალიან მნიშვნელოვანი. მე ვფიქრობ, რომ კარგ მოქალაქეებად გავზრდი ჩემს მოსწავლეებს.

თ. ჯავახიშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17,18,19,20,21)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

1728 წელს, ოძისში დაფიქსირებულია 35 კომლი, რომელიც იხდის ყველა საოსმალო გადასახადს 15200 ახჩის ოდენობით. დავთრის მიხედვით, სოფელს ჰქონია 1 თვალი წისქვილი, რომელზეც წლიური გადასახადი 60 ახჩა ყოფილა.

ისევე, როგორც რაიონის სხვა დასახლებული პუნქტები, ოძისიც XVIII საუკუნის მთელ მანძილზე განიცდის ლეკთა გამუდმებულ თავდასხმებს. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს, 1731 წელს ლეკებმა ააოხრეს ოძისი: „... მიუხდნენ ლეკნი... დაწვეს... ოძისი, წაიღეს ნაშოვარი, ტყვე თუ პირუტყვი“.

1886 წლის აღწერით, ოძისში 31 კომლი მოსახლეა (133 კაცი და 133 ქალი, სულ 266 კაცი), რომლებიც ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: აბაზაძე, ბაიაშვილი, ბლიაძე, გელაშვილი, გოგალაძე, კიკნაძე, ნადირაძე, ტაბატაძე, ქათამაძე, ცხადაძე, ხაჩიძე...

ამავე სახელწოდების სოფელი არის დუშეთის რაიონში (მჭადისჯვრის საკრებულო).

ეს სახელიც ნუნისისა და თბილისის ტიპისაა წარმოების მხრივ.

ხალხში გავრცელებული თქმულების მიხედვით, ოძისში ცხოვრობდა ვინმე ბეჟან აბაზაძე, რომელსაც სამი შვილი – ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყოლია. მას ეკუთვნოდა როგორც ოძისის, ასევე ზინდისის მიდამოები. მამულების განაწილების დროს ბეჟანს ოძისი თავისი ორი ძისთვის მიუცია. აქედან წარმოსდგა სახელწოდება – ორძისი. შემდეგ ასო „რ” ამოვარდა და ასე მივიღეთ სოფლის დღევანდელი სახელწოდებაო.

ტოპონიმ „ოძისთან“ დაკავშირებით მკვლევარი გ. ბედოშვილი აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ ამ სახელწოდების სოფლები არის დუშეთისა და ხაშურის რაონებში, ძველად იგივე სახელი (ოძისი) რქმევია მანგლისთან ახლოს მდებარე სოფელს. ამ ფაქტის შესახებ ერთი ასეთი ხალხური გადმოცემაც არსებობს: „ძველ მანგლისელებსა და ოძელებს შორის საზღვრის გამო დავა ატეხილა. ორი ქალწული გამოუშვიათ სირბილით და სადაც ისინი შეყრილან, იქ ჯვარი ჩაუსვამთ და სამანიც დაუდიათ“. ამას გარდა, XVII ს -ის დამლევის ერთ-ერთ ეკონომიკურ საბუთში, სოფელი ოძისი „მანგლისის გარშემო“ ადგილად არის მოხსენიებული: „იოანე დიასამიძემ, ქართლის კათალიკოსმა, გაბრიელ მანგლელ ჯავახიშვილს სამწყოსოდ მისცა ალგეთს გაღმა (ადგილები და სოფლები) : ვაკე, ღორისთავი (ღვარისთავი), გუდარეხი, ცხოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი... და მის ზემოთ ქციასა და ალგეთს შუა მანგლისის გარშემო **ოძისი** და კველთა“.

სახელწოდება ოძისის ასეთი სიმრავლე იმით არის გამწვეული, რომ საქართველოში საკმაოდ ხშირად ვხვდებით მლაშე მინერალურ წყაროებს, რომელთაც ზოგადად **ვეძის** ვუწოდებთ. ამ სიტყვის მიხედით სოფლებსაც ჰქვიათ სახელად **ვეძათხევი** (დუშეთის რ.), **ვეძები-ი** (ახმეტის რ.), **ვეძათხევა** (თიანეთის რ.), **ვეძისი** (თბილისის ერთ-ერთი უბანი) და სხვა. ქართულ მეტყველებაში თავკიდური **ვე** მარცვალი **ო** ხმოვნით შეცვლილა და ვეძისის ნაცვლად ოძისი მიგვიღია. შინაარსობრივად **ოძისი** (<ვეძისი) ნიშნავს: „ადგილი, სადაც მლაშე წყაროები გამოედნიება“, „ვეძის გამოსადენი ადგილი“.

გ. ბედოშვილი გვაწდის თითქმის იგივე შინაარსის თქმულებას ოძისის სახელწოდების წარმოშობის შესახებ, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. მკვლევარი წერს: „ხალხური გადმოცემა ოძისი წარმოშობას ორ ძმას უკავშირებს: „ეს ადგილები უწინ **ორ ძმას** სჭერია, **ორი ძმისა** ყოფილა და მერე სოფლისთვის **ორძმისი** ანუ **ოძისი** დაუძახნიათო“.

პატარა ახალსოფელი – იხ. ახალსოფელი.

პატარა ბეკამი – იხ. ბეკამი.

პატარა ბეღლეთი – იხ. ბეღლეთი

პატარა თხილნარა – იხ. თხილნარა.

პატარა სატივე – იხ. სატივე.

პატარა ფლევი – იხ. ფლევი.

პატარა ღუდა – იხ. ღუდა.

პატარა ყელეთი – იხ. ყელეთი.

პატარა ხავლეთი – იხ. ხავლეთი.

პატარა ხალები – იხ. ხალები.

პირველი რბონა – იხ. რბონა

რბონა – სოფელი, პირველი და მეორე რბონის ძველი სახელწოდება. მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთის კალთაზე მდ. მტკვრის სანაპიროზე. ზ.დ. 735 მ. ხაშურიდან დაშორებულია 5 კმ-ით. შედის ცხრამუხის სასოფლო საკრებულოში.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ისტორიულ წყაროებში ბრბონის ფორმით გვხდება.

ვახუშტი ბატონიშვილს რბონა დატანილი აქვს რუკაზე, იოანე ბატონიშვილიც აფიქსირებს თავის „აღწერაში“, მაგრამ მის დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

პირველად იგი 1609 წლის ტაშისკრის ცნობილი ბრძოლის მოვლენებთან დაკავშირებით გვხვდება. ყირიმელი თათრები, – აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილი „... წარვიდეს და მივიდეს ბრბონას და დაიბანაკეს მუნ“. აქ ისინი ხის სახლებს შლიან, მდ. მტკვარზე ხიდს აკეთებენ და გადიან მის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ნახვეტრებზე შემდგომში მოხდა ცნობილი ბრძოლა. ამავე მოვლენასთან დაკავშირებით არის მოხსენიებული რბონა ვახუშტი ბატონიშვილთან, „პარიზის ქრონიკაში“ და სხვა.

1664-1673 წლების ციციშვილების გაყრის საქმეზე განჩინებაში აღნიშნულია:

„ამოიღო ციციმ და ქაიხოსრომ საუფროსოდ ბრბონას ბაბლიძე მახარა თავის სახლის კაცითა, დღეს რისაც მამულის მქონე იყოს“.,

1702-1703 წლების ასეთივე შინაარსის დოკუმენტში - განჩინებაში ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის საქმეზე, ნათქვამია:

„ქ. ერთ წილათ დბონას (რბონა) მაზმანი ბადია, ამაზე აძეს ობლიძე შოშია, რისაც მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ. ერთ წილათ ბაბლიძე გიორგი, ამაზე აძეს მაზმანი პაპუნა, რისაც მქონებელი იყოს, ერგო პაპუნას“.

1730 წლის ვახუშტი აბაშიძის მიერ ნიკოლოზ ბუნიათაშვილისაგან მიწის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება რბონა, როგორც დამჩხეულას ერთ-ერთი საზღვარი. ნასყიდობის წიგნს რბონიდან ემოწმებიან სეხნია მცხვედაძე, ისე ობლიძე, ხუცია მაზმისშვილი.

რბონის ხელმეორედ დასახლება XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო დასავლეთ საქართველოდან გადმოსული მოსახლეობით.

აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, გოგალაძე, ხაჩიძე...

1925 წელს რბონაში ცხოვრობდა 50 კომლი

რბონაში მდებარეობს ნანგრევების სახით ჩვენამდე მოღწეული იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის (1893 წ). ეკლესიები.

რუსაანთუბანი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ.დ. 800 მ. ხაშურიდან დაშორებულია 11 კილომეტრით, ლიხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 2 კმ-ით. შედის ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ასეთი სახელწოდების სოფელს არ იცნობენ, იგი არც ქართულ საისტორიო და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

შედიოდა ქართლის სააბაშიოში.

სახელწოდება ანთროპონიმური წარმოშობისაა და მომდინარეობს რუსაშვილების გვარიდან. რუსაშვილები აბაშიძეების აზნაურები იყვნენ და არაერთ ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიებიან. 1711 წლის 10 მაისს ქაიხოსრო მეფემ, სხვა აზნაურიშვილებთან ერთად, ვახუშტი აბაშიძეს უბოძა „...რუსაშვილი შალვა, თავის მამულითა, რუსაშვილი დავით თავის მამულითა...“

ვახუშტი აბაშიძის მიერ ნიკოლოზ ბუნიათისშვილისაგან მამულის 1730 წლის 6 იანვრის ნასყიდობის წიგნში მოწმედ მოიხსენიება „რუსაშვილი მოურავი იესე“.

სახელწოდებაში მსაზღვრელიც (რუსაანთი) და საზღვრულიც (უბანი) არსებითი სახელებია.

აქ სახლობენ გვარები: ბაბლიძე, გორგაძე, მესხი, მჭედლიშვილი, წეველიძე, ხარაზიშვილი...

რუსაანთუბანში მდებარეობს წმ. ანდრიას ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანის დასაწყისით თარიღდება.

სავანისუბანი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ.დ. 810 მ. ხაშურიდან დაშორებულია 11 კმ-ით, ლიხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 2 კმ-ით. შედის ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ასეთი სახელწოდების სოფელს არ იცნობენ. ის არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

ჩვენი აზრით, იგი იმ სამი ტეზრიდან ერთ-ერთია, რომელსაც რუისის სამწყსოს დავთარი იცნობს. დავთარში ცალ-ცალკე არის აღწერილი პირველი, მეორე და მესამე სახუცო ტეზერი. მეორე სახუცო ტეზერში ჩამოთვლილია ის გვარები, რომლებიც დღევანდელ სავანისუბანში ცხოვრობენ და ამ სოფლის ტრადიციული გვარებია. უპირველეს ყოვლისა, აღწერაში, მრავლად არიან დაფიქსირებულნი თავად სავანლები. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ზოგიერთ დოკუმენტში გვხვდება სახელწოდება „სავანლის ტეზერი”. ეს სახელწოდება XX ს-ის 20-30-იან წლებშიც გვხვდება. ამდენად, თამამად შეგვიძლია, განვაცხოდოთ, რომ რუისის სამწყსოსეული მეორე სახუცო ტეზერი დღევანდელი სავანისუბანია.

სახელწოდება ანთროპონიმური წარმოშობისა, მომდინარეობს სავანლების გვარიდან, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ და აბაშიძეების აზნაურები იყვნენ. ისინი არაერთ ისტორიულ დოკუმენტში მოიხსენიებიან ქვიშხეთელ აბაშიძეებთან დაკავშირებით.

1711 წელს ქაიხოსრო მეფე წყალობის წიგნით ვახუშტი აბაშიძეს, სხვა აზნაურებთან ერთად, უმტკიცებს სავანლის გვარის წარმომადგენლებს: „აზნაურისშვილნი: სავანელი თამაზა თავისის მამულითა, გიორგი სავანელი თავისი მამულითა, საამ სავანელი თავისის მამულითა”.

1730 წლის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება „....აზნაურიშვილი სახლთხუცესი სავანელი ზაქარია” და ელიზბარ სავანელი.

1715 წლის რუისის სამწყსოს აღწერის დავთრის მიხედვით, მეორე სახუცო ტეზერში (სავანისუბანში) 42 კომლია (სავანელი (6), რუსაშვილი (3), მაჭავარიანი (2), გარსიაშვილი, რუამაშვილი (2), მანუტაშვილი (3), ნასყიდაშვილი, ელისაშვილი, რევაზაშვილი (2), ციხელაშვილი (5), ელიაშვილი (2), მანჩხაშვილი, მჭედლიშვილი (2), მერაბაშვილი, სუმბაძე (3), ნოზაძე (2), ბლიაძე, ფშოტაძე (6), თურგანიძე, რუფაქიძე და ბოხაძე).

1865 წლის აღწერით, სავანისუბანში 30კომლი მოსახლეა (4 სახელმწიფო, 9 საეკლესიო და 17 დროებით ვალდებული). 1886 წლის აღწერით კი, აქ 81 კომლია (235 კაცი და 225 ქალი, სულ 460 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

სავანისუბანში სახლობენ გვარები: ბადრიაშვილი, ბადათური, ბრეგვაძე, გელაშვილი, გომარელი, გორგაძე, გუდაძე, გურგენიძე, ელისაშვილი, ზაქაშვილი, ზუმბაძე, კაპანაძე, მარგველაშვილი, მეხურაძე, ნოზაძე, ორთოიძე, ორჯონიკიძე, პაპუაშვილი, რევაზიშვილი, სავანელი, ღამბაშიძე, ღონღაძე, ჩიტაძე, ციყელაშვილი, ციცქიშვილი, ჭარხალაშვილი, ჭყოიძე.

სავანე ს.ს. ორბელიანის თანახმად „დასასადგურებელ“ ადგილს ნიშნავს.

საჩხერის რაიონში (არგვეთის საკრებულო) არის სოფელი სავანე, ხოლო ბორჯომის რაონში სავანლისხევი.

სავანისუბანში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც აგებულია 1856 წელს.

სათიბები – ნასოფლარი თრიალეთის ქედზე, შედიოდა ისტორიულ საციციანოში. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება)

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები მას არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებში გვხვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 10 კომლია (50 კაცი და 41 ქალი, სულ 91 კაცი), მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ოსურია.

1925 წლისათვის სათიბებში 25 კომლი მოსახლეა.

აქ მხოლოდ ერთი გვარის წარმომადგენლები - თიგიშვილები ცხოვრობდნენ, რომლებიც XX ს-ის 50-იან წლებში სოფელ ცხრამუხაში ჩაასახლეს და სოფელიც მოიშალა.

სახელწოდება დანიშნულების სახელისგანაა ნაწარმოები, რომელსაც ერთვის მრ. რიცხვის ნიშანი – ებ და სახელობითი ბრუნვის ნიშანი –ი.

სათიბი ს.ს. ორბელიანის მიხედვით არის „გასათიბავი, გასათიბი“.

სათივე – სოფელი, მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ზ.დ. 680 მ. ხაშურიდან დაშორებულია 19 კმ-ით. შედის ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

სოფლის სახელწოდება ტივიდან უნდა მომდინარეობდეს და მას უწინ სატივე უნდა რქმეოდა. ეს ვარაუდი დასტურდება ხალხში გავრცელებული გადმოცემითაც. ბორჯომის ხეობისა და ხაშურის რაიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩვენს დრომდე მეტივეობას მისდევდა და ამისთვის მდ. მტკვარი გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, დღევანდელ სათივესთან იკვრებოდა ტივები და ადგილსაც სატივე შეერქვა. შემდგომ ხანებში სახელწოდებამ განიცადა ტრანსფორმაცია და სატივიდან მივიღეთ სათივე.

აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, გლუნჩაძე, გრიგალაშვილი, ლომსაძე, ჩადუნელი.

სათივე დანიშნულების სახელია წარმოების მხრივ.

სათივე ს.ს. ორბელიანის განმარტებით „თივის სასათიბრო“ ადგილს ნიშნავს.

სათივეში მდებარეობდა ღვთისმშობლის ხის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნით თარიღდებოდა. დღევანდელი ეკლესია XXI ს-ის დასაწყისშია აგებული.

საკირღელე – ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფლების – ბრილსა და ალს შორის. მდებარეობს ალის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ცნობილი არ არის, არც ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

აქ ცხოვრობდნენ გვარები: ნოზაძე, ტაბაშიძე, რომლებიც XX საუკუნის 50-იან წლებში ჩაასახლეს ალში.

სახელწოდება სიტყვათშეერთებით არის მიღებული. ნაწარმოებია სა-ე თავსართ-ბოლოსართით, რომელიც დანიშნულების სახელთა მაწარმოებელია. კირი და ღელე ორივე არსებითი სახელია. ალის შემოგარენი მდიდარია კირქვით, რაც საფუძვლად უნდა დადებოდა სოფლის სახელწოდებას. ჯერ იქნებოდა საკირის ღელე, ხოლო შემდეგ საკირღელე.

სამყვირალო – ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე. შიდა ქართლის ვაკეზე, სოფელ ტკოცის დასავლეთით. მდებარეობს ფლევის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები არ იცნობენ. მას არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში ვხვდებით.

1914 წლის ივლისისთვის აქ ცხოვრობდა 97 კაცი.

სამყვირალო სადაურობის სახელია სა–ო პრეფიქს-სუფიქსით. რაც შეეხება „მყვირალ“-ს, იგი უპირო ზმნაა, კერძოდ მიმღეობა მ-ალ თავსართ-ბოლოსართით. იგი საფუძვლად დაედო სადაურობის სახელს.

ხალხში გავრცელებული გადმოცემით, ამ ადგილზე სათვალთვალო კოშკი მდგარა, საიდანაც გუშაგი მტრის გამოჩენის შემთხვევაში მოსალოდნელ საფრთხეს ყვირილით ამცნობდა ახლომდებარე სოფლების მოსახლეობას.

მეორე ვარიანტით აქ ტყე ყოფილა, ირმები ჩამოდიოდნენ და ყვიროდნენ.

სამყვირალოზე მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ფეოდალური ხანით თარიღდება. მის ირგვლივ შეიმჩნევა ნაგებობათა ნაშთები.

სარმანიშვილისკარი – სოფელი, მდებარეობს ბორჯომის ხეობის დასაწყისში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ამავე სახელწოდების ხევში. ზ.დ. 720 მ. ხაშურიდან დაშორებულია 17 კმ-ით. შედის ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოში.

ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. მას იცნობს ქართული საისტორიო მწერლობა, გვხვდება ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში. ისტორიული გეოგრაფია მას ბორჯომის ხეობას მიაკუთვნებს.

სახელწოდება წარმომდგარია სარმანიშვილის გვარიდან, რომლებიც აქ სახლობდნენ. ამავე გვარიდანაა წარმომდგარი თვით ხეობის სახელწოდებაც, რომლის ბოლოშიც მდებარეობს დღევანდელი დასახლება. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ტაშისკრის „...პირისპირ, სამხრიდამ, ერთვის მტკუარს სარმანიშვილის-ხევი, გამოსდის ყერძენსა და ამას შუას მთასა“. ვახუშტის რუკაზე დატანილი აქვს სოფელი სარმანიშვილი.

სარმანიშვილის ხევის სათავეში მდებარობს ნასოფლარი, აქვეა ეკლესიის ნანგრევებიც. გადმოცემით, სოფელი თავდაპირველად აქ ყოფილა და შემდეგ გადმოსულა დღევანდელ ადგილზე.

სარმანიშვილისკარი ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან გვხვდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ დასახლება მანამდე არ იყო. ამაზე მეტყველებს შემთხვევით მოპოვებული ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც ანტიკური ხანით თარიღდება.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

თაობათა ცვლა

სკოლა ყველაზე უფრო დინამიური და ცოცხალი ორგანიზმია, მისთვის დამახასიათებელია მუდმივი ცვლა და განახლება. ცნობილია ის ჭეშმარიტება, რომ მომავალი მხოლოდ იმ ქვეყნებს აქვთ, რომლებსაც მაღალი დონის, ხარისხიანი განათლების სისტემა გააჩნიათ. დღევანდელ მოთხოვნებს წარმატებით პასუხობს 1-ლი საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი აღსაზრდელებთან ერთად.

დგას ქალაქის ცენტრში 100 წლის შენობა - განახლებული,

გალამაზებული, თანამედროვე ტექნოლოგიებით და თვალსაჩინოებით აღჭურვილი. ძეგლად ქცეული ცოდნის ტაძარი - პროფესიონალი, საქმეზე და მოზარდზე შეყვარებული ადმინისტრაციითა და პედაგოგიური კოლექტივით, რომლებიც არ უჩივიან კონტინგენტის სიმცირეს, პირიქით, ზოგჯერ უარის თქმაც უწევთ ახალი მოსწავლის მისაღებად.

ახალ სასწავლო წელს ახალი რეფორმებით ეგებებიან, სასწავლო წლის დასასრულს აჯამებენ ნაშრომს, ზოგს ამზადებენ შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად, ზოგს კი, გზას ულოცავენ ცხოვრების გზაზე გასასვლელად.

სასწავლო წლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სერტიფიცირებულმა პედაგოგმა-ნაილი კვერნაძემ მშობლების, სკოლის კურსდამთავრებულთა, პირველკლასში შემომსვლელთა და ათეული წლების წინ 1-ლი სკოლის კურსდამთავრებულ, ოქროსმედალოსან, პოეტ ლალი ჯაფარაშვილთან ერთად მიგვიწვია ღონისძიებაზე „თაობათა ცვლა“.

მოსწავლეებს მიესალმა სკოლის დირექტორი ბატონი მორის დანდურიშვილი, ხაშურის ჰიმნის ტექსტის ავტორი, პოეტი ლალი ჯაფარაშვილი, რომელმაც თავისი წიგნები საჩუქრად გადასცა სკოლის განახლებულ, მერი ხარაბაძის სახელობის ბიბლიოთეკას.

ქალბატონ ნაილი კვერნაძის მიერ ორგანიზებულმა, შინაარსიანმა ღონისძიებამ ყველა აღგვაფრთოვანა. გადაიღეს სამახსოვრო სურათები. ეს დღეც 1-ლი სკოლის მრავალფეროვანი ისტორიის საკუთრება გახდა და სკოლის მატიანეს ფურცლებს შეემატა.

მასწავლებელი, რომელიც ყველა უნარს ფლობს, რაც საჭიროა ურთიერთობისა და თანამშრომლობისთვის, ლაღი, თავისუფალი, მოაზროვნე, განათლებული თაობის აღსაზრდელად, კვლავ განუხრელად ემზადება შემდგომი წარმატებითვის.

ინეზა ელისაშვილი

ხაშურის პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი პროექტის „მასწავლებელი-მეგზური ევროპისკენ" გამარჯვებული გახდა

ხაშურის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ნანა დაბრუნდაშვილი, 10 საუკეთესო პედაგოგს შორის, მოხვდა, რომლებმაც საკუთარი ნაშრომები კონკურსზე წარადგინეს.

„ევროპასთან ერთად" ასე ჰქვია პროექტს, რომელიც ხაშურელმა პედაგოგმა პირველ საჯარო სკოლაში განახორციელა და მოსწავლეებს ევროპულ ღირებულებებსა და იმ მითების შესახებ ესაუბრა, რომელიც საქართველოშია გავრცელებული.

საუკეთესო პროექტების ავტორი მასწავლებლების დაჯილდოების ცერემონია „ევროპის დღეები 2019"-ის ფარგლებში გაიმართა. პედაგოგებს ჯილდოები მთავრობის მეთაურმა გადასცა.

- რეპლიკა -

ნუ წავშლით ღირსეული პიროვნებების კვალს

გახსოვთ ილიას ცნობილი „მუდარა": „დედავ, ისმინე ქართვლის ვედრება, ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტებას, უკან რჩეს კვალი განათებული..." დიახ, ეს ილია, XIX საუკუნეა, მაგრამ ერის მამის ამ შეგონებამდეც, ეს სიბრძნე ადამიანის ცხოვრების კრედოს მთავარი „თეზისია", რომელიც უფალმა ჯერ კიდევ ბიბლიიდან „უანდერძა" კაცობრიობას.

ბევრი, ღვთის მადლით, ძალიან ბევრი მამულიშვილი გვყავს ქართველებს, რომლებმაც მართლაც ისეთი კვალი დატოვეს, მთელი თაობების გზამკვლევად რომ იქცა და მომავალშიც იქცევა.

ერთი პატარა რეპლიკისათვის, შეიძლება, დიდი შესავალიც კი გამომივიდა, მაგრამ ერთსაც დავამატებ და მთავარ სათქმელსაც მოგახსენებთ: ღირსეული პიროვნებები არც ჩვენს მუნიციპალიტეტს აკლდა, პიროვნებები, რომლებმაც იცხოვრეს, იღვაწეს და ხე-კეთილი ამრავლეს. ერთ-ერთი მათგანი იყო მერაბ მათიაშვილი, რომელმაც, ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ხაშურის ჯანდაცვის სფეროში იმხელა კვალი დატოვა, რომ მთელმა ქალაქმა, მთელმა რაიონმა დაუფასა ამაგი და ცენტრალური საავადმყოფოს მისი სახელი მიანიჭა. როდესაც ეს საავადმყოფო სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო მფლობელობაში გადავიდა და იგი „აისი" ჯგუფმა ჩაიბარა, მისმა ადმინისტრაციამ მოსახლეობის ნების ეს ერთგვარი „იურიდიული ვალდებულება" გადაიბარა

და კლინიკას მერაბ მათიაშვილის სახელი დაუტოვა. ორიოდე წლის წინ, კლინიკას ისევ შეეცვალა მფლობელი და მას დღეს კომპანია „ევექსი" მართავს. სამწუხაროდ, „ევექსს" აზრადაც აღარ მოსვლია თვითონაც იგივე გაეკეთებინა და ქალაქის ნების გამოხატულება დოკუმენტურად დაერეგისტრირებინა. არა, ჩვენი კანონმდებლობა არც ავალდებულებს ახალ მფლობელს ამის გაკეთებას და მას სრული უფლება აქვს მართვის ქვეშ მყოფი ობიექტის სახელწოდება საჯარო რეესტრში თავისი სურვილისამებრ შეცვალოს, მაგრამ აქ არის მეორე მხარეც, რომელსაც უფრო მორალისკენ მივყავართ. არ გვგონია, რომ ამ ღირსეული პიროვნების სახელით რაიმე ჩრდილი მიდგომოდა მფლობელს, არა გვგონია, რომ მაინცდამაინც კარგი ჟესტი იყოს, როდესაც იმ ქალაქის მოსახლეობის ნებას, სადაც ბიზნესის ოპერირებას ეწევი, იგნორს უკეთებ და არაფრად არ მიიჩნევ მათ აზრს. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, კანონმდებლობა მათ არ თხოვს ამის შესრულებას, მაგრამ თუ ისინი გააკეთებდნენ, არ იქნებოდა ერთგვარი პატივისცემის გამოხატვა ქალაქის მოსახლეობისა და თუ გნებავთ, ქალაქის ისტორიის მიმართაც? ვფიქრობთ, იქნებოდა!

დღეს, საავადმყოფოს წინა ეზოში კია შემორჩენილი ძველი ტრაფარეტი, რომელიც, თითქოსდა, ადასტურებს, რომ კლინიკა მერაბ მათიაშვილის სახელობისაა, მაგრამ, ფაქტია, რომ ეს ტრაფარეტი მხოლოდ ფარიტინა ქაღალდია და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, არც ჩვენ გვაქვს უფლება დავავალდებულოთ „ევექსის" მესვეურები, რომ ოფიციალურად დაარეგისტრირონ ძველი სახელწოდება, მაგრამ გულის შორეულ კუთხეში მაინც რჩება იმედის ნაპერწკალი, რომ ისინი ამას გააკეთებენ, რაც მართლაც ღირებული ნაბიჯი იქნება მათი მხრიდან.

და ერთიც: ისეთი ღირსეული პიროვნებების კვალს, როგორიც ბატონი მერაბი იყო, თუ ერთი თაობა პატივს მიაგებს, შემდეგმა თაობებმაც იგივე უნდა გააკეთონ, თუ არადა აწმყო, რომელიც წარსულმა უნდა შვას, ვერასოდეს გახდება „მშობელი მომავალისა" და თუ გახდება, იმ მომავალში, ვეჭვობ, ცისარტყელას ყველა ფერი მოიძებნებოდეს.

გოგი გოგოლაძე

ა(ა)იპ-ები „ხაშურსერვისი" და „სავანე" გაერთიანდა

,,ხაშურის მოამბისთვის" ორი დამოუკიდებელი სამსახურის ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" და ა(ა)იპ „სავანე"-ს გაერთიანების შესახებ გახდა ცნობილი, ჩვენ, რა თქმა უნდა, დავინტერესდით ამ ცვლილების შესახებ და ამჟამად უკვე ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" დირექტორს ნუკრი ცხოვრებაძეს ვესტუმრეთ, რომლისგანაც გვაინტერესებდა კონკრეტული პასუხები იმ ცვლილებებზე, რასაც ამ ორი სამსახურის გაერთიანება გამოიწვევდა. საქმე ეხება ერთიან

ბიუჯეტს, თანამშრომელთა რაოდენობას, დაგეგმილ სამუშაოებს და სხვა.

- ბატონო ნუკრი, გვიამბეთ ორი სამსახურის გაერთიანების შესახებ?

– სამსახურების შერწყმის პროცესი 15 მაისიდან დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება, გარკვეული ტექნიკური სამუშაოებია ჩასატარებელი. წინასწარ, ორივე სამსახური, როგორც ა(ა)იპ „ხაშურსერვისი" ასევე, ა(ა)იპ „სავანე" ჩაგვაყენეს საქმის კურსში, შესაძლო გაერთიანების და რეორგანიზაციის შესახებ.

- ბიუჯეტი რამდენით განისაზღვრა?

– შეერთების შედეგად, ცხადია, ორივე სამსახურის ბიუჯეტი შეჯერდა და დაახლოებით 1 700 000 მილიონს უტოლდება.

- ამ რეორგანიზაციის შედეგად, სამსახურების თანამშრომლებს შეეხოთ გარკვეული ცვლილებები?

– ამჟამად ორივე სამსახურში ერთად 213 ადამიანია დასაქმებული. სამწუხაროდ ა(ა)იპ „სავანიდან" 7 ადამიანი გათავისუფლდა, თუმცა დანარჩენ დასამქმებულებს ხელფასები გაეზარდათ და ჩვენი თანამშრომლების ხელფასებს გაუტოლდა.

- მიმდინარე წელს რა სამუშაოებია დადგენილი სამსახურის მიერ?

– ტრადიციულად, დასუფთავება, განათება და შიდა გზები, რაც ჩვენი სამსახურის პრეროგატივა გახლდათ და ამასთან ერთად დაგვემატა უპატრონო ძაღლების მომვლა-პატრონობა, სასაფლაოები და დეკორატიული ყვავილებით ქალაქის გალამაზება, ცხადია, თანამშრომელთა ერთიანი ძალებით. ამჟამად, მოვიცავით სხვადასხვა სოფელი: ქვიშხეთი, ცხრამუხა, ოსიური, სადაც აქტიურად მიმდინარეობს გასუფთავების და ბალახის გათიბვის სამუშოები, ამასთან, საკურორტო ზონებში, მაგალითად სურამში, ვცდილობთ გარეგანი იერსახე შეიცვალოს, უფრო გალამაზდეს და ტურისტებისთვის და ადგილობრივთათვის სასიამოვნო გარემო შეიქმნას.

- როგორც ვხედავთ, სამსახურმა, ქალაქში, ყვავილების დარგვა დაიწყო, მოგვიყევით ამის შესახებ?

– დიახ, ქალაქის გამწვანებითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. გამოცხადებული ტენდერის შედეგად, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია „მწვანე სახლი", რომელიც ეტაპობრივად შემოიტანს 25500 ძირ ყვავილის ჩითილს, რომელიც ქალაქის სხვადასხვა ნაწილში დაირგვება და მნიშვნელოვნად შეცვლის ქალაქის იერსახეს. ყავილის ჩითილი, ცხადია, ახალი და ხარისხიანია და შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და მოთხოვნებს.

თ. ახალკაცი

- ვერნისაჟი -

რეზო კოშკაძის გამოფენა 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით

29 მაისს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მხატვარ რევაზ კოშკაძის საიუბილეო პერსონალური გამოფენა მოეწყო. ბატონი რეზო, ამ დღეს 70 წლის გახდა, ამიტომაც გამოფენაზე მისმა საყვარელმა ადამიანებმა მოიყარეს თავი, მისი და მისი შემოქმედების გულშემატკივრებმა. მხატვრის პიროვნული მრავალფეროვნება, კეთილშობილება და პოზიტივი, მის შემოქმედებაში მძაფრად იგრძნობა. ჰიპერ-რეალიზმში გადაწყვეტილ ავტოპორტრეტებთან ერთად, მის შემოქმედებაში უზადოდ შესრულებულ ულამაზეს ნატურმორტებს და პეიზაჟებს ვხვედებით, რომლებიც პირველწუთიდანვე იტაცებს მნახველის თვალს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც აღვნიშნეთ მისი ავტოპორტრეტები უამრავი ცნობილი ადამიანის პირად კოლექციაშია შესული. მისი ნამუშევრები აქვთ: ბიძინა ივანიშვილს, ლევან ვასაძეს, გოგა ხაინდრავას, ნიკუშა შენგელაიას, ბარიტონ გიორგი გაგნიძეს, ფერწერასთან ერთად, ის ნიჭიერი ხატმწერიცაა. მან პირადად უწმინდესის და უნეტარესის ილია II კურთხევა მიიღო ხატის წერაზე. მისი დაწერილი ორი ხატი, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხობის სამონასტრო კომპლექსშია დაბრძანებული.



მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ძირითადი ნაწილი ბატონ რეზოს, როგორც მხატვარს, ისე იცნობს, ის შესანიშნავი პოეტი და მუსიკოსია, ხოლო პროფესიით ისტორიკოსი. გასულ წლებში ის აქტიურად მოღვაწეობდა მუსიკალურ სფეროში და ხელმძღვანელი იყო იმ ანსამბლებისა, რომლებმაც მისი თაოსნობით მრავალი წარმატება და ჯილდო მოიპოვა. რაც შეეხება, მის ლექსებს, მათ პოეტურ კრებულში მოიყარეს თავი სახელწოდებით „დაბრუნება", რომელშიც დაახლოებით 42 ლექსია შესული.

გამოფენას ხაშურში წინ უძღოდა თბილისში ჭერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში მხატვრის პერსონალური გამოფენა, სადაც 28 ნახატი იყო გამოფენილი, მათ შორის, 3 ხატწერის ნიმუში. გამოფენაზე თავი მოიყარეს საზოგადოებისთვის ცნობილმა პიროვნებებმა, ესენი იყვნენ: მხატვართა კავშირის თავჯდომარე გურამ ცერცვაძე, კულტურის ყოფილი მინისტრი ვალერი ასათიანი, პოპულარული მსახიობი დავით კვირცხალია, პოეტი მანანა დანგაძე, ლეგენდარული ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე (ბატონ რევაზს დახატულ აქვს მანუჩარ მაჩაიძის ჰიპერ-რეალისტური ავტოპორტრეტი) და სხვანი. ყველამ ერთხმად აღიარა მახტვრის ყველასაგან განსხვავებული ნიჭი და ხედვა. აქვე შეგახსენებთ, რომ რევაზ კოშკაძე მხატვართა კავშირის წევრია.

რედაქციის სახელით ვულოცავთ ბატონ რეზოს 70 წლის იუბილეს, დღეგრძელობა და ჯანის სიმრთელე მას, ვუსურვებთ, მისი შემოქმედებითი წვა არასდროს განელებულიყოს.

თ. ახალკაცი

- რაგბი -

სურამის „მგლების" ყოველწლიური პროგრესი

ამ სამიოდე წლის წინ, სურამი და რაგბი ერთმანეთისაგან მთელი პოლუსით დაშორებული ცნებები იყო. სპორტის ამ ულამაზეს და ვაჟკაცურ სახეობას, დაბაში, არც ტრადიცია ჰქონდა და მითუმეტეს -არც ისტორია. ყველაფერი კი ერთი კაცის – **კახა აბრამაშვილის** ენთუზიაზმით დაიწყო. ყოფილი რაგბისტი აბსოლიტურად ყამირიდან შეუდგა საქმეს და აგერ, დღეს, სურამში უკვე რაგბის ბუმია. ნელ-ნელა ავითარებდა და აყვარებდა იგი რაგბს სურამს და სურამელებს. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ და თუ დღეს, სურამში, ლამის ყოველი მეორე მოზარდი რაგბითაა „დაავადებული", ამ კაცის დამსახურებაა. მართლაც საამო სანახავია, როდესაც სურამის სტადიონზე, ყოველდღიურად, ათეულობით მოზარდის ყიჟინა ისმის, როდესაც ვარჯიშში 7-8 წლისანები 16-17 წლისანებს ენაცვლებიან. შედეგებიც ნელ-ნელა მოვიდა. სხვადასხვა ასაკობრივ ფესტივალებზე გამარჯვება მრავლადაა, თუმცა, რაღა ფესტივალები, აგერ, სურამის „მგლები" ჭაბუკთა „ბ" ლიგაშიც იწრთობა და წლევანდელ წელს კარგი შედეგიც დადო – 48 გუნდს შორის ათეულში დამკვიდრდა. მავანმა შე

იძლება იფიქროს, რომ ეს არაფერი შედეგია, მაგრამ რაგბში ოდნავ ჩახედული ადმიანისთვისაც კი ნათელია, რომ ფაქტობრივად დებიუტანტებისათვის ეს მოსალოდნელზე მეტია.

კახა აბრამაშვილი: - ამ სეზონით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს და დიდი ტრადიციების მქონე ქუთაისის თუ თბილისის გუნდები ჩამიტოვეს უკან. მთავარია, რომ ამ ბიჭებს რაგბი უკვე სისხლში აქვთ და თუ დიდი სპორტსმენები არ გახდებიან, მჯერა კარგ და ვაჟკაც ქართველებად ჩამოყალიბდებიან...

ამ ბიჭების შემართებას რომ ვუყურებთ, ჩვენც გვჯერა ამის. ჩემპიონობისაკენ მიმავალი გზა არასოდესაა იოლი, მაგრამ „მგლების" ენთუზიაზმს რომ ვუყურებთ, არც ეს ოცნება უნდა იყოს შორს. ამის თქმის საფუძველს კი „მგლების" მომავალი თაობის - 7-8 წლის ბავშვების ანთებული თვალები გვაძლევს,

ერთ გუნდად რომ დგებიან, მკრდზე ხელს მძლავრად ირტყამენ და ბოლო ხმაზე ყვირიან: - ჩვენ სურამის „მგლები" ვართ!

გ. გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.